

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

2016 წლის ბიუჯეტის შესრულების

ანგარიშის შესახებ

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 დეკემბრის #56 დადგენილებით დამტკიცებული იქნა 2016 წლის ბიუჯეტი, რომელიც განისაზღვრა 9186,2 ათ. ლარით, განხორციელებული ცვლილებების შედეგად ბიუჯეტი გაიზარდა 5770,4 ათ. ლარით და დაზუსტდა 14956,6 ათ.ლარით.

ბიუჯეტი შედგენილია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით, რაც გულისხმობს ქალაქის პრიორიტეტების მიზნების, მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების/დონისძიებების ერთობლიობას. შესაბამისად არის მომზადებული და წარმოდგენილი ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიც. ანგარიში მოიცავს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მასში ასახულია როგორც გეგმიური, ისე ფაქტიური მაჩვენებლები, ასევე მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით), ნაშთის ცვლილების, განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების საკასო შესრულების შესახებ ინფორმაციას.

I თავი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

ბიუჯეტის ბალანსი

(ათას ლარებში)

დასახელება	2015 წლის საკასო შესრულება	2016 წლის წლიური გეგმა	2016 წლის დაზუსტებული წლიური გეგმა	2016 წლის საკასო შესრულება (nazard jamiT)
შემოსავლები	14650,6	9156,2	13590,9	13458,5
გადასახდელები	586,9	1780,0	2507,0	2354,9
გრანტები	12338,6	6479,6	10570,3	10531,7

სხვა შემოსავლები	1725,1	896,6	513,6	571,9
------------------	--------	-------	-------	-------

დასახელება	2015 წლის საკასო შესრულება	2016 წლის წლიური გეგმა	2016 წლის დაზუსტებული წლიური გეგმა	2016 წლის საკასო შესრულება (nazardi jamiT)
ხარჯები	8038,0	7220,9	7852,5	7766,4
შრომის ანაზღაურება	1128,6	1181,2	1156,1	1156,1
საქონელი და მომსახურება	589,9	584,4	578,0	565,0
სუბსიდიები	4059,8	4426,9	4263,2	4259,0
გრანტები	554,5	391,5	657,2	657,2
სოციალური უზრუნველყოფა	327,9	372,8	539,8	527,8
სხვა ხარჯები	1377,3	264,1	658,2	601,3
საოპერაციო სალდო	6612,6	1935,3	5738,4	5692,1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4876,0	1904,3	7013,0	4864,3
ზრდა	5014,6	1934,3	7073,0	4972,2
კლება	138,6	30,0	60,0	107,9
მთლიანი სალდო	1736,6	31,0	-1274,6	827,8
ფინანსური აქტივების ცვლილება	1365,3	0,0	-1305,7	796,7
ზრდა	0,0	0,0	0,0	1189,9
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	1365,3	0,0	1305,7	393,2
ვალუტა და დეპოზიტები	1365,3	0,0	1305,7	393,2
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0

დასახელება	2015 wlis საკასო შესრულება	2016 wlis წლიური გეგმა	2016 წლის დაზუსტე ბული წლიური გეგმა	2016 წლის საკასო შესრულება (nazardi jamiT)
ვალდებულებების ცვლილება	-371,3	-31,0	-31,1	-31,1
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	371,3	31,0	31,1	31,1
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	371,3	31,0	0,0	0,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0

II თავი

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2015 wlis საკასო შესრულება	2016 წლის დაზუსტე ბული წლიური გეგმა	2016 წლის საკასო შესრულება
შემოსულობები	12803,4	13650,9	13566,4
შემოსავლები	12664,8	13590,9	13458,5
არაფინანსური აქტივების კლება	138,6	60,0	107,9
გადასახდელები	13423,9	14956,6	12769,7
ხარჯები	8038,0	7852,5	7766,4
არაფინანსური აქტივების ზრდა	5014,6	7073,0	4972,2
ვალდებულებების კლება	371,3	31,1	31,1
ნაშთის ცვლილება	1366,8	1305,7	796,7

2016 წელს ნაშთის ცვლილებამ (ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების დაგროვება) შეადგინა 1366,8 ათ. ლარი, მ.შ: კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი - 909,3 ათ. ლარი, საკუთარი შემოსავლების ნაშთი - 457,5 ათ. ლარი.

2017 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 2163,5 ათ. ლარი, მ.შ: მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთი - 2090,9 ათ. ლარი, საკუთარი შემოსავლების ნაშთი - 72,6 ათ. ლარი.

III თავი

ბიუჯეტის შემოსავლები

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 13590,9 ათ. ლარი, ფაქტიურად 13458,5 ათ. ლარით შესრულდა, რაც გეგმის 0,99%.

I. გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 2354,9 ათ. ლარი, დაზუსტებული წლიური გეგმის 2507,0 ათ. ლარის 0,94%.

საშემოსავლო გადასახადი - საანგარიშო პერიოდში მიღებულია 809,9 ათ. ლარი, რაც დაზუსტებული წლიური გეგმის 1230,0 ათ. ლარის 0,66 %,

ქონების გადასახადი - საანგარიშო პერიოდში ქონების გადასახადიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ფაქტიურად მიღებულია 1545,0 ათ. ლარის შემოსავალი, რაც დაზუსტებული წლიური გეგმის 1277,0 ათ. ლარის 121 % , მათ შორის:

- *საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის* გეგმა 102%-ით შესრულდა (დაზუსტებული წლიური გეგმა 1212,0 ათ.ლარი, შესრულება 1232,8 ათ.ლარი);
- *ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის* გეგმა შესრულდა 143% -ით (დაზუსტებული წლიური გეგმა 10,0 ათ. ლარი, შესრულება 14,3 ათ. ლარი);
- *სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის* გეგმა შესრულდა 154%-ით (დაზუსტებული წლიური გეგმა 20,0 ათ.ლარი, შესრულება 30,8 ათ.ლარი);
- *არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის* გეგმა შესრულდა 763%-ით (დაზუსტებული წლიური გეგმა 35,0 ათ. ლარი, შესრულება 267,1 ათ.ლარი);

II. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 10531,7 ათ. ლარი, მათ შორის:

ა) გათანაბრებითი ტრანსფერი - 5120,4 ათ. ლარი;

ბ) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 86,0 ათ.ლარი;

გ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები - 5175,3 ათ. ლარი;

დ) სპეციალური ტრანსფერი - 150,0 ათ. ლარი.

III. სხვა შემოსავლები

2016 წლის დაზუტებული წლიური გეგმით განსაზღვრული 513,6 ათ.ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 571,9 ათ. ლარი შეადგინა, რამაც გეგმის 111%-ია, მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 4,7 ათ.ლარი, რაც გეგმის 12,0 ათ.ლარის 39%-ია;

რენტის სახით ბიუჯეტში ფაქტიურად 79,0 ათ. ლარი შემოვიდა, რაც გეგმის 127,1 ათ.ლარის 62%-ია.

ადმინისტრაციული მოსაკრებლიდან და გადასახადებიდან მიღებულია 197,1 ათ. ლარი, რომელმაც გეგმის 168,5 ათ. ლარის 122,3% შეადგინა, აქედან:

- სანებართვო მოსაკრებელიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 2,9 ათ.ლარი, რაც გეგმის 5,0 ათ.ლარის 0,58%-ია;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 82,5 ათ.ლარი, რაც გეგმის 62,5 ათ.ლარის 132%-ია;
- დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 111,7 ათ.ლარი, რაც გეგმის 76,0 ათ.ლარის 147%-ია;

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება გეგმა შესრულებულია 0,64% (გეგმა 25,0 ათ.ლარი, შესრულება 16,0 ათ.ლარი);

შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა მთლიანობაში 221,6 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმაზე (175,0 ათ. ლარი) 46,6 ათ. ლარით მეტია. **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 53,5 ათ.ლარი, რაც გეგმის 31,0 ათ. ლარის 173%-ია;

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ბიუჯეტში ჩარიცხულია 107,9 ათ. ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (60,0 ათ. ლარი) 47,9 ათ. ლარით მეტია. მათ შორის: 76,2ათ. ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვებიდან (შემოსულობა შენობებისა და ნაგებობების გაყიდვებიდან), ხოლო 31,7 ათ. ლარი არამწარმოებლური აქტივების გაყიდვებიდან (მიწის გაყიდვიდან).

IV თავი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი დაზუსტდა 14956,6 ათ. ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 12769,7 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 0,85%-ია.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების გეგმა განისაზღვრა 6944,6 ათ. ლარით და დაზუსტდა 7852,5 ათ. ლარით. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7766,4 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 0,99%-ია.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 124,5 ათ. ლარით და დაზუსტდა 7073,0 ათ. ლარი. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 4972,2 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 0,70%-ია.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 31,1 ათ. ლარით და დაზუსტდა 31,1 ათ. ლარი. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 31,1 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ია.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

„შრომის ანაზღაურების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1156,1 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 1156,1 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 578,0 ათ. ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 565,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 0,98%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4263,2 ათ. ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 4259,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ს.

სუბსიდიების მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება;
- კომუნალური მომსახურების ცენტრის დაფინანსება;

- სკოლამდელი განათლების დაფინანსება;
- ზოგადი განათლების ხელშეწყობა;
- სპორტული ობიექტების დაფინანსება;
- კულტურის ობიექტების დაფინანსება;
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა;
- გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელსეწყობა;
- სოციალურად დაუცველ ბავშთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება;
- ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური გადასახადების უზრუნველყოფის პროგრამა.

„გრანტების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 657,2 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 657,2 ათ. ლარის მოცულობით, რაც გეგმის 100%-ს.

გრანტების მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სსიპ „ქ. ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი;
- სსიპ „ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი“;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

„სოციალური უზრუნველყოფის“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 539,8 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 527,8 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 0,97%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა;
- თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა;
- უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა;
- „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა;
- ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა;
- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა;

- იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;
- მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;
- ვეტერანთა დახმარების პროგრამა;
- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა;
- დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა;
- მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის „ახალშობილთა“ მატერიალური დახმარების პროგრამა;
- ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა.


„სხვა ხარჯების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 658,2 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 601,3 ათ. ლარის მოცულობით, რაც გეგმის 0,90%-ს.

სხვა ხარჯების მუხლიდან ფინანსდება ისეთი სამუშაოები, რომელთა შედეგად შექნილი აქტივები არ აისახება მერიის ბალანსზე, კერძოდ: მრავალშვილიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, სახლების ფასადების შეკეთება, კანალიზაციის და წყალმომარაგების ქსელების შეკეთება.

სხვა ხარჯების მუხლიდან ასევე, დაფინანსებული იქნა:

- კომუნალური სუბსიდირება;
- უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება ბინის ქირის უზრუნველყოფა.

2016 წლის ბიუჯეტი ფუნქციონალურ ჭრილში პრიორიტეტების მიხედვით



- 01 00 - წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (გეგმა - 1716,2 ათ. ლარი, შესრულება - 1698,6 ათ. ლარი, რაც გეგმის 0,99 %-ია);
- 02 00 - თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (გეგმა - 61,8 ათ. ლარი, შესრულება - 58,2 ათ. ლარი, რაც გეგმის 0,94%-ია);
- 03 00 - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (გეგმა - 8724,4 ათ. ლარი, შესრულება - 6576,1 ათ. ლარი, რაც გეგმის 0,75%-ია);
- 04 00 - განათლება (გეგმა - 1088,0 ათ. ლარი, შესრულება - 1088,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია);
- 05 00 - კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (გეგმა - 2675,7 ათ. ლარი, შესრულება - 2671,1 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია);
- 06 00 - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (გეგმა - 690,5 ათ. ლარი, შესრულება - 677,7 ათ. ლარი, რაც გეგმის 0,98%-ია).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში განისაზღვრა, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის გეგმა			2016 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1700,0	0,0	1700,0	1682,4	0,0	1682,4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1685,1	0,0	1685,1	1667,5	0,0	1667,5
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1497,1	0,0	1497,1	1487,7	0,0	1487,7
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	188,0	0,0	188,0	179,8	0,0	179,8
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	14,9	0,0	14,9	14,8	0,0	14,8
702	თავდაცვა	61,8	0,0	61,8	58,2	0,0	58,2
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის გეგმა			2016 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
704	ეკონომიკური საქმიანობა	7210,0	5880,2	1329,8	5108,1	3847,6	1260,5
7045	ტრანსპორტი	2959,8	2401,6	558,2	2602,6	2112,6	490,0
70451	სავაჭრობილო ტრანსპორტი და გზები	2959,8	2401,6	558,2	2602,6	2112,6	490,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში	4250,2	3478,6	771,6	2505,5	1735,0	770,5
705	გარემოს დაცვა	696,7	0,0	696,7	696,7	0,0	696,7
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	696,7	0,0	696,7	696,7	0,0	696,7
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	817,7	331,7	486,0	771,3	287,8	483,5
7061	ბინათშენებლობა	402,9	331,7	71,2	356,5	287,8	68,7
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	414,8	0,0	414,8	414,8	0,0	414,8
707	ჯანმრთელობის დაცვა	24,2	0,0	24,2	24,2	0,0	24,2
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	24,2	0,0	24,2	24,2	0,0	24,2
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2675,7	0,0	2675,7	2671,1	0,0	2671,1
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	954,8	0,0	954,8	952,0	0,0	952,0

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის გეგმა			2016 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1695,9	0,0	1695,9	1694,1	0,0	1694,1
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	25,0	0,0	25,0	25,0	0,0	25,0
709	განათლება	1088,0	0,0	1088,0	1088,0	0,0	1088,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1055,2	0,0	1055,2	1055,2	0,0	1055,2
7092	ზოგადი განათლება	32,8	0,0	32,8	32,8	0,0	32,8
70923	საშუალო ზოგადი განათლება	32,8	0,0	32,8	32,8	0,0	32,8
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
710	სოციალური დაცვა	651,4	0,0	651,4	638,6	0,0	638,6
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0,5	0,0	0,5	0,2	0,0	0,2
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	0,9	0,0	0,9	0,9	0,0	0,9
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	18,2	0,0	18,2	17,5	0,0	17,5
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	403,7	0,0	403,7	395,1	0,0	395,1

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის გეგმა			2016 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალურ სფეროში	228,1	0,0	228,1	224,9	0,0	224,9
	სულ	14925,5	6211,9	8713,6	12738,6	4135,4	8603,2

2016 წელს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ პრიორიტეტების მიხედვით გაწეული ხარჯების ანალიზი, მიღებული შედეგები და შეფასების ინდიკატორები

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

(ორგანიზაციული კოდი - 01 00)

01 01 - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის 2016 წელს ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 437,7 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 431,2 ათ. ლარი, რაც გეგმის 0,99%-ია.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით გეგმა შეადგენს 316,1 ათ. ლარს, ხოლო საკასო შესრულება 316,1 ათ. ლარს, რაც გეგმის 100%-ია, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - საკასო ხარჯი 289,1 ათ. ლარი; პრემია - საკასო ხარჯი 22,8 ათ. ლარი; დანამატი - საკასო ხარჯი 4,2 ათ. ლარი;

საქონელი და მომსახურების ხარჯების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 102,9 ათ. ლარით, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 96,8 ათ. ლარი, რაც გეგმის 0,94%, მათ შორის:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების დაზუსტებული გეგმა - 53,0 ათ. ლარი, რაც შესრულდა - 49,1 ათ. ლარის ოდენობით.

მივლინების ხარჯის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 1,0 ათ. ლარით, რაც შესრულდა - 1,0 ათ. ლარის ოდენობით.

ოფისის ხარჯის დაზუსტებული გეგმა - 19,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა - 17,6 ათ. ლარი. დაფინანსებულია: საკანცელარიო საქონლის შეძენის, ნორმატიული

აქტების გამოქვეყნების ღირებულების, ოფისისათვის საჭირო მასალების შეძენის, სანიტარული საგნების შეძენის, ასევე კავშირგაბმულობის ხარჯები.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების~ დაზუსტებული გეგმა - 29,2 ათ. ლარი, შესრულდა - 29,1 ათ. ლარის ოდენობით, დაფინანსებულია: საწვავის-საპოხი მასალების შეძენის, ავტომანქანის სათადარიგო ნაწილების შეძენისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი.

სხვა ხარჯების~ - დაზუსტებული გეგმა - 18,7 ათ. ლარი, შესრულდა - 18,3 ათ. ლარის ოდენობით, რაც გეგმის 0,98%-ია. დაფინანსებულია სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებლად გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

01 02 - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის 2016 წელს ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1059,4 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 1056,5 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით გეგმა შეადგენს 793,8 ათ. ლარს, ხოლო საკასო შესრულება 793,8 ათ. ლარს, რაც გეგმის 100%-ია, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - საკასო ხარჯი 743,7 ათ. ლარი; პრემია - საკასო ხარჯი 31,0 ათ. ლარი; დანამატი -19,1ათ. ლარი.

საქონელი და მომსახურების~ ხარჯების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 207,5 ათ. ლარით, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 205,8 ათ. ლარი, რაც გეგმის 0,99%-ია, მათ შორის:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების~ დაზუსტებული გეგმა - 48,9 ათ. ლარი, რაც შესრულდა - 48,6 ათ. ლარის ოდენობით.

მივლინების~ ხარჯის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 5,4 ათ. ლარით, რაც შესრულდა - 4,8 ათ. ლარის ოდენობით.

ოფისის ხარჯის~ დაზუსტებული გეგმა - 61,6 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა - 61,6 ათ. ლარი. დაფინანსებულია: საკანცელარიო საქონლის შეძენის, მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, ოფისისათვის საჭირო მასალების შეძენის, სანიტარული საგნების შეძენის, კავშირგაბმულობის და კომუნალური ხარჯები, კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი.

„წარმომადგენლობითი ხარჯები“ დაზუსტებული გეგმა - 16,7 ათ. ლარი, შესრულდა - 16,7 ათ. ლარის ოდენობით.

„სამედიცინო ხარჯები“ დაზუსტებული გეგმა - 0,3 ათ. ლარი, შესრულდა - 0,3 ათ. ლარის ოდენობით.

„რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები“ დაზუსტებული გეგმა - 3,8 ათ. ლარი, შესრულდა - 3,8 ათ. ლარის ოდენობით,

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების~ დაზუსტებული გეგმა - 45,2 ათ. ლარი, შესრულდა - 44,4 ათ. ლარის ოდენობით, დაფინანსებულია: საწვავის-საპოხი მასალების შეძენის, ავტომანქანის სათადარიგო ნაწილების შეძენის, მიმდინარე რემონტის ხარჯები.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების~ ხარჯების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 25,6 ათ. ლარის ოდენობით, რაც შესრულდა - 25,6 ათ. ლარის ოდენობით. დაფინანსებულია: კადრების მომზადება-გადამზადებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯი, რეკლამის, აუდიტორული მომსახურების, შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი.

„სოციალური უზრუნველყოფა“ დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 8,8 ათ. ლარის

ოდენობით, რაც შესრულდა - 8,3 ათ. ლარის ოდენობით, რაც გეგმის 22%-ია. დაფინანსდა: დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება.

სხვა ხარჯების - სხვადასხვა ხარჯების - გეგმა - დაზუსტდა 6,4 ათ. ლარი, შესრულდა - 5,7 ათ. ლარის ოდენობით, რაც გეგმის 0,90%. დაფინანსებულია: სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული სააღსრულებო და სხვადასხვა მიმდინარე ხარჯი.

არაფინანსური აქტივების ზრდა - დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 42,9 ათ. ლარით, რაც შესრულდა - 42,9 ათ. ოდენობით, რაც გეგმის 100%-ია. განხორციელდა შენობის რემონტი, შექმნილია მუსიკალური ინსტრუმენტი, გაზქურა და სხვა საოფისე ინვენტარი.

სარეზერვო ფონდი

2016 წელს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების მოცულობამ შეადგინა 188,0 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 179,8 ათ. ლარი, მათ შორის:

- ბინათმშენებლობა - 18,3 ათ. ლარი;
- ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 10,0 ათ. ლარი;
- სპორტული ღონისძიებების დაფინანსება - 0,3 ათ. ლარი;
- კულტურის ღონისძიებების დაფინანსება - 25,5 ათ. ლარი;
- შეჭირვებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა - 114,2 ათ. ლარი;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა - 1,8 ათ. ლარი;
- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა - 7,2 ათ. ლარი;
- ვეტერანთა დახმარების პროგრამა - 2,4 ათ. ლარი.

წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ფონდი

მგფ-ის და სხვა დავალიანებების დაფარვა

აღნიშნული მიმართულებით 2016 წელს გამოყოფილი იქნა 31,1 ათ. ლარი, ხოლო ხარჯებმა შეადგინა 31,1 ათ. ლარი.

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

(ორგანიზაციული კოდი - 02 00)

02 02 - ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამღლებიხ ხელშეწყობა

2016 წლის გეგმა - 61,8 ლარი, საკასო ხარჯი - 58,2 ლარით, რაც გეგმის 0,94%-ია.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით დაზუსტებული გეგმა შეადგენს 46,2 ათ. ლარს, ხოლო საკასო შესრულება 46,2 ათ. ლარს, რაც გეგმის 100%-ია.

საქონელი და მომსახურების~ ხარჯების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 9,4 ათ. ლარით, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 8,8 ათ. ლარი, რაც გეგმის 0,71%-ია, მათ შორის:

მივლინების~ ხარჯის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 0,8 ათ. ლარით, რაც შესრულდა - 0,5 ათ. ლარის ოდენობით.

ოფისის ხარჯის~ დაზუსტებული გეგმა - 6,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა - 2,9 ათ. ლარი. დაფინანსებულია: საკანცელარიო საქონლის შეძენის, მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, ოფისისათვის საჭირო მასალების შეძენის, კავშირგაბმულობის და კომუნალური ხარჯები.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა- შენახვის ხარჯების~ დაზუსტებული გეგმა - 5,5 ათ. ლარი, შესრულდა - 5,4 ათ. ლარის ოდენობით, დაფინანსებულია: საწვავის-საპოხი მასალების შეძენის, ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი;

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების~ ხარჯების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 3,0 ათ. ლარის ოდენობით.

არაფინანსური აქტივების ზრდა~ დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 3,2 ათ. ლარით, რაც შესრულდა - 3,2 ათ. ოდენობით, რაც გეგმის 100%-ია. შეძენილია კომპიუტერი და კონდიციონერი.

მიღწეული საბოლოო შედეგი: საქართველოს შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევის ორგანიზება.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

(ორგანიზაციული კოდი - 03 00)

ქალაქ ოზურგეთში 2016 წელს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გასაწევი ხარჯი დაიგეგმა 7 378,6 ათ. ლარის ოდენობით.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - ბიუჯეტით 2016 წელს დაგეგმილი იყო 2 959,8 ათ. ლარის ღირებულების პროექტების განხორციელება.

მიღწეული საბოლოო შედეგი: საანგარიშო პერიოდში ასფალტის საფარი მოეწყო: ქუჩაზე - 3068მ², სანაპიროს ქუჩაზე - 12639მ², სანაპიროს გზაგამტარზე - 5179მ², აკაკის ქუჩაზე - 6687მ², აპოლონ წულადის ქუჩაზე - 5336მ², გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩაზე - 1464მ², გამსახურდიას ქუჩაზე - 509მ², გუგუნავას ქუჩაზე - 1192მ², იოანე პეტრიწის ქუჩაზე - 1097მ², ფარნავაზ მეფის ქუჩაზე - 258მ², გაგარინის ქუჩაზე - 3501მ², მოსკოვის ქუჩაზე - 897მ², პუშკინის ქუჩაზე - 1103მ², რუსთაველის ქუჩაზე (აკ. ბაქრაძიდან ნემიროვიჩ-დანჩენკომდე) - 4707მ², წიტაიშვილის ქუჩაზე - 964მ², წუწუნავას ქუჩაზე - 2131მ², ღლონტის ქუჩაზე - 816მ², ჯორჯიაშვილის ქუჩაზე - 4267მ². ორმული შეკეთების სამუშაოები ჩატარდა ქალაქის დაზიანებული ქუჩების მონაკვეთებზე, საერთო ფართობით - 1450მ²-ზე, გრუნტოვანი გზის მოხრეშვა - დაგრეიდერება განხორციელდა ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, ანასეულის დასახლებაში, წმ. გიორგის ქუჩაზე, იაკობ შემოქმედელის ქუჩის ჩიხში, ლომთათიძის ქუჩაზე, კიტა მეგრელიძის ქუჩაზე, საერთო ფართობით 20160მ², ბეტონის საფარი მოეწყო წმ. გიორგის ქუჩის მეორე შესახვევში 760მ²-ზე. ქალაქ ოზურგეთის ქუჩებში მოეწყო 177 საგზაო ნიშანი.

შეფასების ინდიკატორები:

მოეწყო 55815მ² საერთო ფართობის ასფალტის საფარი 18 ქუჩაზე, ბეტონის საფარი - 760მ² -ზე ერთ ქუჩაზე, ორმული შეკეთების სამუშაოები - 1450მ²-ზე, გრუნტოვანი გზის მოხრეშვა-დაგრეიდერება 20160მ²-ზე, 177 საგზაო ნიშნის მოწყობა.

ბინათმშენებლობა - ბიუჯეტით 2016 წელს დაგეგმილი იყო 402,9 ათ. ლარის ღირებულების პროექტების განხორციელება.

მიღწეული საბოლოო შედეგი: საანგარიშო პერიოდში ახალი სახურავის საფარი მოეწყო მრავალბინიან სახლზე - მეცნიერების ქ. N22-ში - 490მ², სახურავი გარემონტდა, წყალშემკრები ღარები და მილების მოეწყო მრავალბინიან სახლზე დოლიძის ქ. N7-ში - 244 გრმ.მ., 2016 წლის 21 სექტემბრის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, სახურავების აღდგენის მიზნით განხორციელდა სახურავების მოწყობა და სამშენებლო მასალების გადაცემა 34 ინდივიდუალურ საცხოვრებელი სახლზე - საერთო ფართობით - 5669 მ².

განხორციელდა მრავალბინიანი კორპუსების ფასადების კეთილმოწყობის სამუშაოები ნიკო ნიკოლაძის ქ. N52-ში - 97,2მ²-ზე და ნიკო ნიკოლაძის ქ. N54-ში - 212მ²-ზე.

კანალიზაციის ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები შესრულდა მრავალბინიან კორპუსებში - ფარნავაზ მეფის ქ. N127-ში - 131გრმ.მ.-ზე, გურამიშვილის ქ. N14-ში - 150გრმ.მ.-ზე, გამსახურდიას ქუჩის ჩიხი N6-ში 163გრმ.მ.-ზე. წყალმომარაგების შიდა ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები შესრულდა მრავალბინიან კორპუსებში - ფარნავაზ მეფის ქ. N1-ში - 272გრმ.მ., იოანე პეტრიწის ქ. N1-ში - 272გრმ.მ., თენიეშვილის ქ. N6-ში - 152გრმ.მ., თენიეშვილის ქ. N10-ში - 152გრმ.მ., ჭავჭავაძის ქ. N15-ში - 160გრმ.მ.

შეფასების ინდიკატორები:

შესრულდა ერთ მრავალბინიან სახლში ახალი სახურავი მოწყობა - 490მ², ერთ მრავალბინიან სახლში წყალშემკრები სისტემის მოწყობა - 244 გრმ.მ., შეკეთდა სახურავი 34 ინდივიდუალურ საცხოვრებელი სახლზე - საერთო ფართობით - 5669 მ². კანალიზაციის შიდა

ქსელები შეკეთდა 4 ობიექტზე - საერთო სიგრძით - 444მ; წყალმომარაგების შიდა ქსელები შეკეთდა 5 ობიექტზე - საერთო სიგრძით -1008მ.

კეთილმოწყობის სამუშაოები - ბიუჯეტით 2016 წელს დაგეგმილი იყო 4015,9 ათ. ლარის ღირებულების პროექტების განხორციელება.

მიღწეული საბოლოო შედეგი: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ტროტუარების კეთილმოწყობის სამუშაოები ჭავჭავაძის ქუჩაზე - 4008 მ², გზაგამყოფები მოეწყო დოლიძის და ერისთავის ქუჩებზე და თამარ მეფის მოედანზე, სადაც მოეწყო 1204 გრძ.მ საერთო სიგრძის ბორდიური. ვაჟა ფშაველას ქუჩაზე მოეწყო 38 გრძ.მ. სანიაღვრე არხი. ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები ჩატარდა ჭავჭავაძის ქ. N8 და N10-ში - 1130 მ²-ზე და ნიკო ნიკოლაძის ქ. N54-ში- 1617 მ²-ზე. მოეწყო ერთი მინისტადიონი იაკობ შემოქმედელის ქუჩაზე.

პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიზნით მდ. ბჟუჟზე, დიმიტრი ბაქრაძის და მალაზონიას ქუჩების მიმდებარედ დასრულდა ფერდის დამჭერი გაბიონების მშენებლობა საერთო სიგრძით - 700მ, მდ. ბჟუჟზე სანაპიროს ქუჩის გასწვრივ მოეწყო 119 გრძ.მ სიგრძის რკინაბეტონის კედელი, 150 გრძ.მ-ზე მოეწყო არსებული ჯებირის დამცავი რკინაბეტონის პერანგი და 60 გრძ. მ ნაპირდამცავი გაბიონი. მდ. ბაზრისწყალზე მოეწყო 860 გრძ.მ. საერთო სიგრძის ბეტონის კედელი. დაიწყო და მიმდინარეობს მდ. ბჟუჟზე ჯორჯიაშვილის ქუჩის მიმდებარედ ორ მონაკვეთზე 430გრძ.მ საერთო სიგრძის ნაპირდამცავი გაბიონის მოწყობა და მდ. ნატანებზე კიტა მეგრელიძის ქუჩის მიმდებარედ 352 გრძ.მ. სიგრძის ნაპირდამცავი გაბიონის მოწყობა.

შეფასების ინდიკატორები:

კეთილმოეწყო ტროტუარები ერთ ქუჩაზე საერთო ფართობით - 4008 მ², მოეწყო სანიაღვრე არხი ერთ ობიექტზე - 33გრძ.მ, მოეწყო 1204მ პერიმეტრზე გზაგამყოფები. ორ ობიექტზე კეთილმოეწყო ეზოები საერთო ფართობით - 2747მ², მოეწყო ერთი მინისტადიონი, მდინარეების ნაპირდამცავი სამუშაოები განხორციელდა 5 ობიექტზე საერთო სიგრძით - 1889 გრძ.მ.

ქალაქ ოზურგეთში 2016 წელს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გეგმა შეადგენს - 7 378,6 ათ. ლარს, საკასო ხარჯმა შეადგინა - 5 231,4 ათ. ლარი, რაც გეგმის 71%-ია, მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - გეგმა - 2 959,8 ათ. ლარი, საკასო შესრულება - 2 602,6 ათ. ლარი, რაც გეგმის 88%-ია;

ბინათმშენებლობა - გეგმა - 402,9 ათ. ლარი, საკასო შესრულება - 356,5 ათ. ლარი, რაც გეგმის 89%-ია;

კეთილმოწყობის სამუშაოები - გეგმა - 4 015,9 ათ. ლარი, საკასო შესრულება - 2 272,3 ათ. ლარი, რაც გეგმის 57%-ია;

03 02 01 - დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება

განმახორციელებელი: ა(ა)იპ „ქალაქ ოზურგეთის სერვისცენტრი“

2016 წლის გეგმა - 696,7 ათ. ლარი, საკასო ხარჯი განისაზღვრა - 696,7ათ. ლარის ოდენობით, რაც გეგმის 100%-ია.

მიღწეული საბოლოო შედეგი: ქალაქში მიღწეულია სანიტარული წესრიგი, ყოველდღიურად ხორციელდება ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა.

შეფასების ინდიკატორი: სანიტარულად მოწესრიგებული ქალაქი, მოვლილი ღია ნაგავსაყრელის პოლიგონი.

03 02 03 - კომუნალური მომსახურების ცენტრის დაფინანსება

განმახორციელებელი: ა(ა)იპ „ქალაქ ოზურგეთის სერვისცენტრი“

2016 წლის გეგმა - 414,8 ათ. ლარი, საკასო ხარჯი განისაზღვრა - 414,8 ლარის ოდენობით, რაც გეგმის 100%-ი.

მიღწეული საბოლოო შედეგი: განათებული ქუჩები; განათებულ ქუჩებში მოსახლეობისა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება; ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.

შეფასების ინდიკატორი: ქალაქის ქუჩებში და სკვერებში შექმნილი კეთილმოწყობილი და უსაფრთხო გარემო.

განათლება

(ორგანიზაციული კოდი - 04 00)

04 01 - სკოლამდელი განათლების დაფინანსება

განმახორციელებელი: ა(ა)იპ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი“

2016 წლის გეგმა - 1088,0 ლარი, დაფინანსდა - 1088,0 ლარით, გეგმის 100%-ი.

მიღწეული საბოლოო შედეგი: დაფინანსებული იქნა 8 საბავშვო სააღმზრდელო დაწესებულებების ხარჯები, რომელიც მოიცავს: 246 თანამშრომლის ხელფასს, 1035 ბავშვის კვებას, კომუნალურ გადასახადებს და სხვა ხარჯებს.

შეფასების ინდიკატორი: ბავშვთა კვების ორგანიზაციის საქმეში შესაბამისი მონიტორინგის

ჩატარების შედეგების გაუმჯობესება წინა წლებთან შედარებით; 1035 ბავშვი იღებს უფასო მომსახურებას.

04 02 - ზოგადი განათლების ხელშეწყობა

2016 წლის გეგმა - 32,8 ათ. ლარი, დაფინანსდა - 32,8 ათ. ლარით, გეგმის 100%-ი.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

საანგარიშო პერიოდში ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ საჯარო და სამრევლო სკოლებს (N1 საჯარო სკოლა; N2 საჯარო სკოლა; N3 საჯარო სკოლა; N4 საჯარო სკოლა; N5 საჯარო სკოლა; წმ. ნინოს სახელობის გიმნაზია; წმ. გაბრიელის სახელობის გიმნაზია) ახალი სასწავლო წლის მზადებასთან დაკავშირებით გაეწიათ ფინანსური დახმარება. აგრეთვე, მერია იყო თანადადამფინანსებელი წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის სპორტული დარბაზის მშენებლობაში; ქ. ოზურგეთის N 1 და #2 საჯარო სკოლებს საიუბილეო წელთან დაკავშირებით გაეწია ფინანსური დახმარება; N 2 საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდს „ბილი,, პროექტის -, მე და კონსტიტუცია“, დაუფინანსდა კონკურსის დასკვნით ეტაპზე ქ. თბილისში გამგზავრება; წმინდა ნინოსა და წმინდა გაბრიელის სამრევლო სკოლების მომდერალთა გუნდები მერიამ უზრუნველყო ტრანსპორტირებით თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მგალობელთა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად; ქ. თბილისში ინტელექტ ჩემპიონატი „ეტალონი 2016“-ს საფინანსო თამაშზე მოსწავლეების დასასწრებად დაფინანსდა ტრანსპორტირების თანხა. ასევე, I-II-III-IV-V საჯარო სკოლებს დაუფინანსდა პარლამენტში ექსკურსია; მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ქ. ოზურგეთის საჯარო სკოლების 27 წარმატებულ პედაგოგს გადაეცა ფასიანი საჩუქრები და თაიგულები.

ფინანსური დახმარება გაეწიათ ქალაქ ოზურგეთის საჯარო და სამრევლო სკოლების მოსწავლეებს საატესტატო გამოცდებზე მიღწეული განსაკუთრებული წარმატებებისათვის (7 მოსწავლე) და ქალაქ ოზურგეთის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთა მიერ ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი დაფინანსების მოპოვებისთვის (8 კურსდამთავრებული).

შეფასების ინდიკატორები:

განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საჯარო და სამრევლო სკოლებისათვის სასწავლო ექსკურსიებისა ხელშეწყობა; სკოლების მიერ ინიცირებული აქტივობებისა და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების მხარდაჭერა; საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობა, სამოქალაქო ცნობიერების განვითარება.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

(ორგანიზაციული კოდი - 05 00)

05 01 02 - სპორტული ობიექტების დაფინანსება

განმახორციელებელი:

- ა.(ა).ი.პ. „რაგბის განვითარების კავშირი“ (გეგმა - 152,0 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 151,8 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია);
- ა.(ა).ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი - მერცხალი“ (გეგმა - 177,5 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 176,6 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია);
- ა.(ა).ი.პ. „გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრი“ (გეგმა - 445,0 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 443,5 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია).

2016 წლის გეგმა - 954,5 ლარი, დაფინანსდა - 952,0 ლარით, რაც გეგმის 100%-ია.

მიღწეული საბოლოო შედეგი: სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა; ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლინება; ეროვნული ნაკრების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით; ჩემპიონატში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა.

შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს პირველობებში გამარჯვებული - 13 სპორტსმენი;
- საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული - 2 პრიზიორი.

05 02 01 - კულტურული ღონისძიებების დაფინანსება

2016 წლის გეგმა - 45,2 ათ. ლარი, დაფინანსდა - 45,0 ათ. ლარით, რაც გეგმის 100%-ია.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

თეატრალურ მოედანზე საახალწლო ღონისძიებების ორგანიზება; ქალაქის ტერიტორიაზე ტრადიციული „საშობაო ალილოობის“ მსვლელობის მოწყობა; 18 იანვარი-„ფრიზლით შოუ“ პროექტის ფარგლებში მოეწყო ანტონ ბალანჩივადის საავტორო ფილმის - „ქართული ლეგენდა“ ჩვენება; 5 თებერვალი - გურიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი „ზამთრის ვერნისაჟი“ - მონაწილეები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ; 3-8 მარტი - დედისა და ქალთა დღის აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიების მოწყობა; დაფინანსდა მოხუცთა თავშესაფის ბენეფიციართათვის მიძღვნილი ღონისძიება; 21 მარტს - ქ. ოზურგეთში

ექთიმე თაყაიშვილის სახელობის მუზეუმ-ნაკრძალში დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გაიმართა თეატრალიზებული აქცია-კონცერტი „მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან, მომზადდა ვიდეო-კლიპი; 22 მარტი - ქორეოგრაფ ომარ ხურციძის ვარსკვლავის გახსნა; 9 - აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი პატივის მიგება; 9 მაისი - გამარჯვების დღის აღნიშვნა; 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - ღონისძიების ორგანიზება; 2 ივნისი - ანსამბლ „გურია“-ს ვარსკვლავის გახსნა; 22 ივლისი - საზოგადოება „სანთელი“ -ს მიერ წმინდა ფილიმონ ქორიძის ხსენებისადმი მიძღვნილი კონცერტის ორანიზება; 27 ივლისი - ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის „შავი ზღვა 2016 - საქართველო“ ორგანიზება; გიორგი სალუქვაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალის ჩატარება; 8-10 აგვისტო - ომში დაღუპულთა ხსოვნის დღის აღნიშვნა; 29 აგვისტო - ქ. ოზურგეთის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ლაშა-გიორგის“ იუბილესთან დაკავშირებით ფონოგრამების ჩაწერის უზრუნველყოფა; 27 სექტემბერი - სოხუმის დაცემის დღის აღნიშვნა; ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა გვირგვინებით შეამკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ობელისკი და ეროვნული გმირის ზაზა დამენიას საფლავი; 23 ნოემბერს - „ალეგრობა-ოზურგეთობა-2016“-ის ჩატარება.

შეფასების ინდიკატორები:

მერიის მიერ ხელშეწყობით და მხარდაჭერით სარგებლობენ მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ორგანიზაციები, რომლებიც კულტურის სფეროს მიმართულებით განახორციელებენ საქმიანობას, მათ შორის: აღნიშნული ორგანიზაციების თანამშრომლები, სახელოვნებო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები. ჩატარდა - 21 სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიება.

05 02 02 - კულტურის ობიექტების დაფინანსება

განმახორციელებელი:

- ა.ა.ი.პ. „ცენტრალური ბიბლიოთეკა“ (გეგმა - 114,3 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 114,3 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია);
- ა.ა.ი.პ. „თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი“ (გეგმა - 70,0 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 70,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია);
- ა.ა.ი.პ. „თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი-სურათების გალერია“ (გეგმა - 90,4 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 90,4 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია);
- ა.ა.ი.პ. „კულტურისა და დასვენების პარკი“ (გეგმა - 69,7 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 69,4 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია);
- ა.ა.ი.პ. „ჯ. დუნდუას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი „გურია“ (გეგმა - 176,0 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 176,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია);
- ა.ა.ი.პ. „სამხატვრო სკოლა“ (გეგმა - 70,8 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 70,5 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია);
- ა.ა.ი.პ. „გრ. კილაძის სახ. მუსიკალური სკოლა“ (გეგმა - 117,5 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 117,5 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია);

- ა.(ა).ი.პ. „ისტორიული მუზეუმი“ (გეგმა - 102,0 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 102,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია);
- ა.(ა).ი.პ. „კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი“ (გეგმა - 403,5 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 402,8 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია);
- სსიპ „ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი“ (გეგმა - 395,0 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 395,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია);
- სსიპ „ფოლკლორის ცენტრი“ (გეგმა - 41,5 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 41,5 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია).

2016 წლის გეგმა: 1650,7 ათ. ლარი, დაფინანსდა 1649,2 ათ. ლარი, გეგმის 100%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: ტრადიციული ქართული ხელოვნებისადმი ინტერესის გაზრდა; მოსახლეობისათვის განახლებული სერვისის შეთავაზება და მკითხველის დაინტერესების გზით მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა; მუზეუმების პოპულარიზაციის გაზრდილი დონე – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები; ახალი სპექტაკლის რაოდენობის ზრდა, ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა; სახვითი ხელოვნების პოპულარიზაცია; საზოგადოების ფართო ნაწილის მონაწილეობა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში; ნიჭიერი შემოქმედი ადამიანების წარმოჩენა; ღვაწლმოსილი ადამიანების დაფასება.

შეფასების ინდიკატორი:

- ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, კულტურის წარმოჩინება და პოპულარიზაცია.

05 04 - რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსება

2016 წლის გეგმა: 25,0 ათ. ლარი, დაფინანსდა 25,0 ათ. ლარი, გეგმის 100%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: ააიპ „შემოქმედის ეპარქიის განვითარების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერა, (კომუნალური გადასახადებით), ტაძრების, ეკლესიამოსატრების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დაფინანსება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(ორგანიზაციული კოდი - 06 00)

06 02 04 01 - შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა

2016 წელს გეგმა 200,5 ათ. ლარი, დაფინანსდა 194,1 ათ. ლარით, გეგმის 0,97%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: შეჭირვებულ მოქალაქეთა სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 1163 მოქალაქეს მედიკამენტების, ოპერაციებისა და მკურნალობის ხარჯების დასაფინანსებლად.

შეფასების ინდიკატორი: ფინანსურად უზრუნველყოფილი 1163 მოქალაქე.

06 02 04 02 - თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა

2016 წელს გეგმა 6,0 ათ. ლარი, დაფინანსდა 5,9 ათ. ლარით, გეგმის 0,98%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

შეფასების ინდიკატორი: ფინანსურად უზრუნველყოფილი 42 მოქალაქე.

06 02 04 03 - უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა

2016 წელს გეგმა 5,0 ათ. ლარი, დაფინანსდა 4,2 ათ. ლარით, გეგმის 0,84%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: უსინათლო პირთა სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება.

შეფასების ინდიკატორი: ფინანსურად უზრუნველყოფილი 28 მოქალაქე.

06 02 04 04 - განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა

2016 წელს გეგმა 90,5 ათ. ლარი, დაფინანსდა 90,2 ათ. ლარით, გეგმის 100%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა (250 მოქალაქე) სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება; დაფინანსდა 12 ბენეფიციარის კვება, სამედიცინო მომსახურება, სარეაბილიტაციო, სპორტულ გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ხარჯები.

შეფასების ინდიკატორი: განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სოციალური, მორალური მხარდაჭერა, გარემოსთან ადაპტირების შესაძლებლობების გაუმჯობესება;

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა პირობების გაუმჯობესება.

06 02 04 05 - „C” ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა

2016 წელს გეგმა 52,8 ათ. ლარი, დაფინანსდა 52,4 ათ. ლარით, გეგმის 0,99%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: პროგრამით გათვალისწინებული დახმარების ხელმისაწვდომობა მოსახლეობისათვის.

შეფასების ინდიკატორი: 113 დაავადებული მოქალაქის მდგომარეობის გაუმჯობესება.

06 02 04 06 - გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობა

2016 წელს გეგმა 19,0 ათ. ლარი, დაფინანსდა 19,0 ათ. ლარით, გეგმის 100%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: დაფინანსდა: „ა(ა) ი.პ. „გადარჩენილები მომავლისათვის“ - პროექტი „ნუ იქნები მსხვერპლი“; ასევე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოს პროექტი „კიბო განაჩენი არ არის“.

შეფასების ინდიკატორი: გაიზარდა საზოგადოების ინფორმირებულობა გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით; განხორციელდა - 4 სხვადასხვა სახის პროექტი გენდერის მიმართულებით, რომლებიც ემსახურებიან სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებას; ყოველგვარი დისკრიმინაციის, ქალთა მიმართ და ასევე, ოჯახში ძალადობის პრევენციის, ეროვნული უმცირესობებისა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა უფლებების დაცვის, მათთვის ადაპტირებული სოციალური გარემოს შექმნაზე ზრუნვის ხელშეწყობა.

06 02 15 01 - ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა

2016 წელს გეგმა 0,5 ათ. ლარი, დაფინანსდა 0,2 ათ. ლარით, გეგმის 0,40%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: საანგარიშო პერიოდში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 100 წელს მიღწეულ ხანდაზმულს 200 ლარის ოდენობით.

შეფასების ინდიკატორი: ხანდაზმულთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება (2 მოქალაქე).

06 02 15 02 - მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა

2016 წელს გეგმა 94,7 ათ. ლარი, დაფინანსდა 94,1 ათ. ლარით, გეგმის 0,99%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ცხოვრების

პირობების გაუმჯობესება.

შეფასების ინდიკატორი: დაკმაყოფილებული 371 მოქალაქე.

06 02 15 03 - იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა

2016 წელს გეგმა 6,2 ათ. ლარი, დაფინანსდა 6.1 ათ. ლარით, გეგმის 0,98%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

შეფასების ინდიკატორი: ფინანსურად უზრუნველყოფილი 30 ოჯახი.

06 02 15 04 - სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება

2016 წელს გეგმა 20,1 ათ. ლარი, დაფინანსდა 20,1 ათ. ლარით, გეგმის 100%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: სოციალურად დაუცველ ბავშვთა ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. თანადაფინანსება გაეწია ა(ა)იპ „მომავლის სხივის“ 19 ბენეფიციარს.

შეფასების ინდიკატორი: სოციალურად დაუცველ ბავშვთა საზოგადოებასთან ადაპტაცია.

06 02 15 05 - მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა

2016 წელს გეგმა 93.1 ათ. ლარი, დაფინანსდა 92.8 ათ. ლარით, გეგმის 100%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: შეჭირვებული მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. დაფინანსებულია ერთი უფასო სასადილო.

შეფასების ინდიკატორი: უფასო კვებით უზრუნველყოფილი 155 ბენეფიციარი.

06 02 15 06 - ვეტერანთა დახმარების პროგრამა

2016 წელს გეგმა 1,9 ათ. ლარი, დაფინანსდა 0,8 ათ. ლარით, გეგმის 0,42%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა და მათი ოჯახების ფინანსური დახმარება.

შეფასების ინდიკატორი: ფინანსურად უზრუნველყოფილი 7 ვეტერანი და მათი ოჯახები.

06 02 15 07 - ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა

2016 წელს გეგმა 14,9 ათ. ლარი, დაფინანსდა 14,9 ათ. ლარით, გეგმის 100%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: დაფინანსებულია ხანდაზმულთა თავშესაფარში განთავსებული ბენეფიციარების მომსახურების სუბსიდირება, კერძოდ: ქ. ოზურგეთში, მეცნიერების წ. #16-ში ხანდაზმულთა სახლის კომუნალური გადასახადები.

შეფასების ინდიკატორი: თავშესაფარით უზრუნველყოფილი მოსახლეობა.

06 02 15 08 - კომუნალური სუბსიდირება

2016 წელს გეგმა 7,7 ათ. ლარი, დაფინანსდა 7,6 ათ. ლარით, გეგმის 0,99%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება; გადასახადების გადახდის ხელმისაწვდომობა.

შეფასების ინდიკატორი: დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 76 ოჯახს.

06 02 15 09 - უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება ბინის ქირით უზრუნველყოფა

2016 წელს გეგმა 33,3 ათ. ლარი, დაფინანსდა 32,2 ათ. ლარით, გეგმის 0,97%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: დროებით თავშესაფრით დაკმაყოფილება.

შეფასების ინდიკატორი: სოციალურად დაუცველი 77 ოჯახის ბინის ქირის კომპენსაციით უზრუნველყოფა.

06 02 16 01 - მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა

2016 წელს გეგმა 17,2 ათ. ლარი, დაფინანსდა 17,0 ათ. ლარით, გეგმის 0,99%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შეფასების ინდიკატორი: ფინანსურად უზრუნველყოფილი 33 ოჯახი.

06 02 16 02 - დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა

2016 წელს გეგმა 0,9 ათ. ლარი, დაფინანსდა 0,9 ათ. ლარით, გეგმის 100%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: დედ-მამით ობოლ ბავშვთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შეფასების ინდიკატორი: დახმარება გაეწია - 3 ბავშვს.

06 02 16 03 - მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მე-5 და მეტი შვილის დაბადებისთვის „ახალშობილთა“ მატერილური დახმარება

2016 წელს გეგმა 1,0 ათ. ლარი, დაფინანსდა 0,5 ათ. ლარით, გეგმის 0,50%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება; დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების წახალისება.

შეფასების ინდიკატორი: ფინანსურად უზრუნველყოფილი 1 ოჯახს.

06 02 17 - ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა

2016 წელს გეგმა 1.0 ათ. ლარი, დაფინანსდა 0,5 ათ. ლარით, გეგმის 0,50%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: დალუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარება.

შეფასების ინდიკატორი: დალუპულ მეომართა 2 ოჯახის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

06 03 - საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება

2016 წელს გეგმა 24,2 ათ. ლარი, დაფინანსდა 24,2 ათ. ლარით, გეგმის 100%.

მიღწეული საბოლოო შედეგი: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, რომელმაც ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა და კონტროლი გაუწია ქალაქის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელებას, დაავადების გადაცემის გზების, რისკ-ფაქტორების გამოვლენებასა და შესწავლას, პროფილაქტიკური აცრების დაგეგმვას, შესრულებას და სხვა ღონისძიებებს.

შეფასების ინდიკატორი: ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.